

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეოინფორმაციული სისტემა და რუკათა სერია

გიორგი კოდელაშვილი

ელ-ფოსტა: giorgi.kodelashvili@ens.tu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა მოხდა პირდაპირი პრაქტიკული მიზნიდან გამომდინარე. ამჟამად საქართველოს სინამდვილეში არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულს (ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე, მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი მმართველობის ქალაქი), არ გააჩნია მრავალპროფილიანი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა და შესაბამისი ელექტრონული რუკათა სერია ან სრული კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასი. აღნიშნული კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული პროდუქტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კონკრეტული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მართვისა და ჩასატარებელი ღონისძიებების სწორად დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეიქმნას ქვემო ქართლის მხარის ერთ-ერთი კონტრასტული - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეოინფორმაციული სისტემა და შესაბამისი ელექტრონული რუკათა კრებული (სერია) პრაქტიკული გამოყენების მიზნებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის სრულფასოვნად შესრულების მიზნით მოეწყო სავსე ექსპედიცია ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამაგისტრო ნაშრომის ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მონაწილეობით. ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურებისაგან აღებულ და შეგროვილ იქნა: სტატისტიკური, ანალიტიკური, ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროები. ადგილზე მონახულებულ და აღწერილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები (სასარგებლო წიაღისეული საბადოები, საწარმოო დაწესებულებები, ისტორიულ-არქიტექტურული და საკულტო ძეგლები, ბუნების ღირსშესანიშნაობები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სპორტისა და კულტურის ობიექტები, ჯანდაცვის ობიექტები, საგანმანათლებლო ობიექტები, მომსახურების ობიექტები, სატრანსპორტო კომუნიკაციები). აღნიშნული მასალების (გეოინფორმაციის) სისტემატიზაციისა და კარტოგრაფიული გადამუშავების შედეგად შეიქმნა რუკათა სერია, რომლის შემადგენლობაში შედის ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების რუკები. შემდგომ ეტაპზე მოხდა შედგენილი რუკებისა და გეომონაცემთა ბაზის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი და ტექსტური ფორმით, წარმოდგენილ იქნა პრაქტიკული დანიშნულების რეკომენდაციები.